ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01212461991**
თარიღი: **03/09/2021**
პინი: **1598**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს,

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 30 აგვისტოს N 17-01212421361-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ (ს/კ N 01.11.12.015.152) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1831396) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში.

აღნიშნულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, სააგენტომ დადებითი პოზიცია დააფიქსირა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე 2020 წლის 4 თებერვლის, N 17-01200353784-16 წერილის პასუხად N 16-01200431328 წერილით.

ამჯამად მიმდინარეობს საპროექტო ტერიტორიაზე მეორე ბლოკის არქიტექტურული პროექტიის შეთანხმება (AR1831396). იმის გათვალისწინებით რომ საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი რეაბილიტაციის ფარგლებში უმჯობესდება საავტობუსე და საქვეითე ინფრასტრუქტურა, სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი. მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ძირითადი მიმდებარე გამტარი კვანძები ნაწილობრივ დატვირთულია, თუმცა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ვინაიდან, დაგეგმილი პროექტიდან და სატრანსპორტო კვლევიდან არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1831396) შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი